თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველების"-ს სხდომის

ოქმი N3

ქ.თელავი 24 ნოემბერი 2020 წ.

თავმჯდომარეობდა: **ტიტე დარეჯანიშვილი**

ესწრებოდნენ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **ვასილ არაბული,**

ფრაქციის წევრი: **არჩილი თხლაშიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: ტიტე დარეჯანიშვილი

მოისმონეს: 1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: ტიტე დარეჯანიშვილი

ტ. დარეჯანიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო მერიის მიერ წარმოდგენილი თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ტიტე დარეჯანიშვილმა, ვ. არაბულმა და ა. თხლაშიძემ აღნიშეს, რომ ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხები წინა წელთან

შედარებით შემცირებულია და ვერ განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა, ამიტომ უმჯობესია მოხდეს მობილიზება ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში არაფინანსური აქტივების კლების მუხლის გაზრდა, კერძოდ საპრივატიზაციო ნუსხაში რიცხული ქონების რეალიზაცია და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 750.0 ათ.ლარისა გაიზარდოს 1 000,0 ათ.ლარამდე. ასევე შესაძლებელია ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში სოციალური პროგრამების ბიუჯეტის შემცირება დაახლოებით 250. ათ. ლარით, კერძოდ ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა დახმარებისა და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი (მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) ბავშვების სტიპენდიის პროგრამებში შესაძლებელია თანხების შემცირება.

ა. თხლაშიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"ს მიერ ინიცირებული საკითხი, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში (თეთრიწყლები, კობაძე, პანტიანი, სეროდანი, ნადიკვარი) თხევადი აირის სუფსიდირებას (80 ოჯახზე თვეში 8 კგ. ოდენობით), არ არის გათვალისწინებული 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი გადაეგზავნოს მერიას რათა გაითვალისწინონ ფრაქციის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები.

ფრაქციის თავმჯდომარე: ტიტე დარეჯანიშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: ვასილ არაბული

ფრაქციის წევრი : არჩილი თხლაშიძე